



თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 83

„21“ აგვისტო 2015 წელი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ბრძანების
ძალადაკარგულად გამოცხადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის
კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად,

1. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს მიეცეს თანხმობა რათა ძალადაკარგულად გამოცხადდეს „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 20 მაისის №83 ბრძანება (საქართველოს პარლამენტის თელავის მაჟორიტარი ბიუროს ოფისზე პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემული, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული, ქალაქ თელავში, ერეკლე II-ის გამზირ №16-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე არსებული 3 (სამი) ოთახი, საერთო ფართობით 51,19 კვ.მ, ს/კოდი №53.20.37.089;
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე



Handwritten signature

პაატა გიორგობიანი